„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

საქართველოს ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატი შშმ პირთა შორის

ქ. ბათუმი, 17-21 ივლისი, 2026 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორგანიზატორები:
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია.

1. ჩატარების ვადები და ადგილი:
17-21 ივლისი, 2026 წ. ქ. ბათუმი, სასტუმრო “იბის სტაილს ბათუმი”. მის: ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა 5ბ.

2. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს წებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. სათამაშო წესები:

3.1. დროის კონტროლი: 45 წუთი პარტიის ბოლომდე, 30 წამის დამატებით ყოველ სვლაზე.

3.2. ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული ან წრიული სისტემით 7 ტურად.

3.3. ქალთა ტურნირში 8-ზე ნაკლები მონაწილის შემთხვევაში ვაჟთა და ქალთა ტურნირები გაერთიანდება.

3.4. დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

4. მონაწილენი და რეგისტრაცია:

4.1. ჩემპიონატში დაიშვებიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები და აქვთ შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი. მონაწილეებს შევსებული უნდა ჰქონდეთ ფედერაციაში გაწევრიანების სარეგისტრაციო ფორმა https://forms.gle/m2GjMRs6FzbMYei3A

4.2. მონაწილეებმა ტურნირში რეგისტრაციისთვის უწდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/WXnrcn66mGrSX31k8

ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2026 წლის 15 ივლისის 18:00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები. საკონტაქტო ნომერი: 599 069497.

4.3.სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

5. თაი – ბრეიქი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

შვეიცარიული სისტემის დროს:

1. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით):

2. ბუჰგოლცი;

3. ურთიერთშორის შეხვედრა;

4. მოგებების მეტი რაოდენობა.

5. პროგრესი (რეგრესით)

წრიული სისტემის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;

2. მოგებების მეტი რაოდენობა;

3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;

4. კოიას სისტემა.

თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

6. ტურნირის განრიგი:

ჩამოსვლის დღე	17 ივლისი	
ტურნირის გახსნა	18 ივლისი	15:00 სთ.
I ტური	18 ივლისი	15:30 სთ.
II ტური	19 ივლისი	12:00 სთ.
III ტური	19 ივლისი	15:00 სთ.
IV ტური	20 ივლისი	12:00 სთ.
V ტური	20 ივლისი	15:00 სთ.
VI ტური	21 ივლისი	12:00 სთ.
VII ტური	21 ივლისი	15:00 სთ.
დახურვა	21 ივლისი	17:00 სთ.

7. დაჯილდოება:

- 1 ადგილზე გასული ვაჟები და ქალები დაჯილდოვდებიან თასით, მედლით, დიპლომით და ფასიანი საჩუქრით.

- 2-3 ადგილზე გასული ვაჟები და ქალები დაჯილდოვდებიან მედლით, დიპლომით და ფასიანი საჩუქრით.

- ტურნირის ყველა მონაწილეს ასევე გადაეცემა სამახსოვრო ფასიანი საჩუქარი.

8. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;

- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.

9. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: ფიდეს ასოცირებული ორგანიზატორი - სალომე მელია